ორგანიზაცია: სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლა.

საგანი: ისტორია –სამოქალაქო განათლება.

პედაგოგი:  ნონა ყაველაშვილი.

| | |
|---|---|
| **პროექტის სათაური** (ლაკონური სათაური, რომელიც ასახავს პროექტის მიზანს) | “დადგინე სიმართლე შენით“ |
| **პრობლემის დასაბუთება და პროექტის მიზანი** .(მკაფიოდ გაწერილი პრობლემის დასაბუ | მედიაწიგნიერება, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოადგენს გამჭოლ კომპეტენციას, რომელსაც მოსწავლეებს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში უნდა ვუვითარებდეთ.თუმცა  , თუ აღნიშნული მიმართულებით  სასწავლო პროცესს დავაკვირდებით დავინახავთ, რომ სკოლების უმეტესობაში  მედიაწიგნიერების მიმართულებით განვითარება არასწორად მიმდინარეობს.  მოსწავლეების მხრიდან არასწორად ხდება ინფორმაციის  მოძიება , დახარისხება , ანალიზი და გადამოწმება.მათ შორის  მშობლები არ ინტერესდებიან  შვილების საინფორმაციო ტექნოლოგიებისადმი ინფორმაციულ უსაფრთოებასთან დაკავშირებული პრობლემებით. მაშინ როცა, ქართულ ინტერნეტსივრცეში ხშირად შეხვდებით გადაუმოწმებელ, საეჭვო წყაროზე დაყრდნობით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც მოსახლეობაში კონკრეტული ღირებულებების, ჯგუფების თუ ქვეყნების მიმართ ნეგატიური განწყობის შესაქმნელადაა გამოყენებული. მსგავს შემთხვევებზე დაკვირვება ასევე ცხადყოფს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია სათანადო კომპეტენცია, რათა ეჭვი შეიტანოს გამოქვეყნებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, გადაამოწმოს ან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს აშკარად აბსურდული მოსაზრებები. ამ ფონზე მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარების საკითხის თვალსაზრისით |

| | |
|---|---|
| თება და პროექტ ისზოგა დი მიზანი) | საზოგადოება ახალი გამოწვევის წინაშე დგას - მოახერხოს ორიენტირება და სანდო ინფორმაციის ამორჩევა.<br>ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ინფორმაცია მრავალი წყაროდან თავად მიდის მომხმარებლამდე, რაც ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მას - განივითაროს ინფორმაციის სელექციის უნარჩვევა. ქვეყანაში სულ უფრო აქტუალური ხდება მედიაწიგნიერების საკითხი, რადგან სწორედ მედიაწიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება ვერ გახდება დეზინფორმაციის მსხვერპლი. ამიტომ პირველ რიგში საგანმანათლებლო სივრცეში და მოსწავლეებში უნდა მოხდეს სწორი მიმართულებით მედიაწიგნიერების კომპენტენციების განვითარება, რომლის შემდეგ, მოსწავლემ უნდა შეძლოს მედიასივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირება , ინფორმაციის გადარჩევა – გადამოწმება და კრიტიკულად შეფასება.შეძლოს ინფორმაციის ხარისხიანად დამუშავება,სანდოობის განსაზღვრა და ამასთან, ახალი ინფორმაციის შექმნა ზემოთ აღნიშნული უნარების გამოყენებით. |
| **მისაღწევი შედეგები** (მსხვილი საგანმანათლებლო შედეგების ჩამონათვალი) | 1.კრიტიკული აზროვნება.<br>2.მედიის ტიპების მიმართ ცნობიერების ჩამოყალიბება.<br>3.სურათების კითხვის უნარ_ჩვევების განვითარება.<br>4.მედიაწიგნიერების ძლიერი მხარეების წარმოჩენის უნარების შეძენა. |
| **აქტივობები** (შედეგების მისაღწევად გაწერილი აქტივობების თანმიმდევრული | 1.1.<br>**კრიტიკული კითხვა:**<br>მოსწავლეები კითხულობენ სტატიებს, რასაც მოჰყვება მსჯელობა და ანალიზი. სტატიების და თემების სავარაუდო ჩამონათვალი: 1.კანონთან კონფლიქტში მყოფი **არასრულწლოვნები ბავშვი, დანაშაული და სასჯელი - რადიო თავისუფლება, ნინო თარხნიშვილი** ბავშვების მასობრივი ქურდობა - მაღაზიის მეპატრონეები დახმარებას ითხოვენ **- რეზონანსი, ელზა პაპოშვილი.** თითოეული ჯგუფი აანალიზებს სტატიას შემდეგი მიმართულებით: ა)ჩამოთვალეთ ძირითადი ფაქტები, რაც სტატიიდან ხდება ცნობილი. ბ) ჩამოთვალეთ მოვლენის აღწერისას გამოყენებული შეფასებები, ფრაზები, ეპითეტები : ვინ არიან ინფორმაციის წყაროები? არის თუ არა აცდენა ფაქტებსა და შეფასებებს შორის? შეაჯამეთ ერთი წინადადებით მესიჯი, რომელიც სტატიის შემდეგ რჩება. 15 წუთიანი მსჯელობის შემდეგ ორივე ჯგუფი აჯამებს საკუთარი ანალიზის შედეგებს:წყაროები, ფაქტები, შეფასებები . რა ითქვა სტატიით? შემდეგ ორივე ჯგუფი განიხილავს: რა ინფორმაცია აკლია სტატიას? რა უნდა იყოს ამ თემის გაგრძელება?<br>**მედიის ტიპების მიმართ ცნობიერების ჩამოყალიბება.** |

| | |
|---|---|
| ჩამონა თვალი) | 2.1. მოსწავლეები სავარჯიშოების შესრულებით გაეცნობიან, თუ როგორ იცვლება ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მედია და მისი ურთიერთკავშირი აუდიტორიასთან. მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა აუდიტორიის და მედიის როლზე, ასევე ინფორმაციის ფორმასა და შინაარსზე იმას, თუ როგორ მოიპოვებდნენ, ამუშავებდნენ და ავრცელებდნენ ინფორმაციას, იქნებოდა ეს პაპირუსის, საბეჭდი დაზგის, ტელევიზიის, თუ ინტერნეტის ხანა<br>**.აქტივობა 1:** დარიგდება ჯგუფებში სხვადასხვა ეპოქის ამსახველი ფოტოები, რომლებზეც უნდა იმსჯელონ ჯგუფებში და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: რამდენი ადამიანისთვისაა ამ მედიით ინფორმაცია ხელმისაწვდომი? რამდენად სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია? რა ღირს ამ გზით ინფორმაციის მოპოვება? ვინ ქმნის ინფორმაციას? რა როლი აქვს მომხმარებელს ინფორმაციის მოხმარებისას, პასიურია თუ აქტიური? რა მიმართულებით ვრცელდება ინფორმაცია?<br>**სურათების კითხვის უნარ_ჩვევების განვითარება.**<br>**3.1. აქტივობა :**<br>მოსწავლეები გაიგებენ: რა გავლენა აქვს სურათებს მოვლენათა აღქმისას, როგორ შეიძლება ფოტოები იქნას გამოყენებული მანიპულაციისთვის და როგორ ცვლის კონტექსტი, დრო, ადგილი, სოციალური გარემო ერთი და იმავე კადრის აღქმას.<br>მოსწავლეებს შევთავაზებთ ფოტომანიპულაციის გამომახველ სხვადასხვა აქტივობას.<br>**მედიაწიგნიერების ძლიერი მხარეების წარმოჩენის უნარების შეძენა.**<br>**4.1. აქტივობა.**<br>მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ მედიას შეუძლია კონკრეტული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მოქალაქეთა გაძლიერება,აზრის გამოსახატად ან რაიმე საკითხის ადვოკატირებისათვის, რომ მოქალაქეები ხშირად იყენებენ სამთავრობო ფეისბუკ გვერდებს, ქმნიან ფეისბუკ ჯგუფებს, რაც ხელს უწყობს თანამოაზრეთა მობილიზებას და სამოქმედო ნაბიჯების დაგეგმვას. აღნიშნულის დასადასტურებლად მედიასივრციდან მოსწავლეებსთვის შეთავაზებული იქნება მაგალითები განსახილველად და შესაფასებლად მაგალითად : სოციალური ქსელიდან მედიაში გადმოტანილი ინფორმაცია აუტისტი ბავშვის შესახებ: „რეისიდან მოხსნილი აუტიზმის მქონე ბავშვი და მშობელი ათენში უფასოდ გაფრინდნენ“. |
| | გამოყენებული ლიტერატურა:<br>1<br>2.მედიაწიგნიერება და ზრდასრულთა განათლება.თამთა კობახიძე 2019წ.<br>3.<br><br>http://mdfgeorgia.ge › view-library-გზამკვლევი.<br>https://mastsavlebeli.ge/?p=37747&fbclid=IwAR2S7YFmvk_TnoMDk2gWj4wOMACJnYVJbGhyXIF72oFbeOSgTqS48GnaMVA_aem_AZprw985EV1RboL_IPiGUIwsuZ_ab5AhOdxXVK_mgtNhwtuUvbr4GfwGrMcUMHPu3CE&mibextid=Zxz2cZ |